saqarTvelos pedagogTa da mecnierTa Tavisufali profkavSiri
Educators and Scientists Free Trade Union Of Georgia

სპმთპ-ის რეკომენდაციები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინიტრის ბრძანებებში და კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის შესახებ

წლების განმავლობაში პრაქტიკად იქცა დირექციის მხრიდან პედაგოგთა უფლებების უხეში დარღვევა, სამსახურიდან დაუსაბუთებელი გათავისუფლებები, შეუსაბამო შრომის ანაზღაურება და სოციალური დაცვის გარანტიები.

ბოლო წლების განმავლობაში, მიმდინარეობდა სახელმწიფოს მიერ მასწავლებელთა პროფესიული კავშირების დევნა და შევიწროება გაერთიანების თავისუფლების უხეში შელახვით. სახელმწიფოს პოლიტიკას წარმოადგენდა პროფესიული კავშირების შესუსტება და მისთვის ხელოვნური ბარიერების შექმნა.

დღეს სამართლიანობა მოითხოვს, სახელმწიფოს მიერ გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები პედაგოგთა უფლებების დაცვისა და მასწავლებელთა გაერთიანებების (პროფესიული კავშირების) გაძლიერების მიმართულებით.

მიზნშეწონილია,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების პედაგოგთა უფლებების დაცვის გარანტიების გაძლიერების კუთხით, ცვლილებებისა და დამატებების შეტანა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინიტრის შემდეგ ბრძანებებსა და კანონმდებლობაში:

1. **<u>ბრძანება #959 - საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების დამტკიცების შესახებ (11.10.2007)</u>**

1.1 #959 ბრძანების მე-4 მუხლში მიზანშეწინილია დაფიქსირდეს შემდეგი ჩანაწერი: **საჯარო სკოლების დირექტორთა მიერ პედაგოგებთან გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობები განისაზღვრება პედაგოგთა პროფესიულ კავშირთან შეთანხმებით.**

დასაბუთება: უკვე რამოდენიმე წელია, საჯარო სკოლების დირექტორებმა პრაქტიკად აქციეს პედაგოგთა უფლებების უხეში დარღვევა, მასწავლებელთათვის შრომითი ხელშეკრულების უსამართლო პირობების შეთავაზება და პედაგოგთა პროფესიული კავშირის როლის იგნორირება მასწავლებელთა უფლებების დაცვის საქმეში. პედაგოგთა პროფკავშირს ხშირად აკითხავენ პედაგოგები, რომლებიც ჩივიან უკვე გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების

კაბალური პირობების შესახებ, საჯარო სკოლების ადმინისტრაციების მიერ მათი შრომითი უფლებების დარღვევის თაობაზე.

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის „ჭ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო „პროფესიული კავშირების მონაწილეობით ადგენს საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალურ ოდენობასა და პირობებს, ამტკიცებს სკოლების მიერ მასწავლებელთან დადებული შრომითი ხელშეკრულებების სავალდებულო პირობებს“.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ასევე, მასწავლებელთა უფლებების დარღვევის პრევენციის მიზნით, მიზანშეწონილია პროფესიული კავშირი ჩაერთოს პედაგოგთან გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულების პროექტის შემუშავების სტადიაზე, რათა ხელშეკრულების სამართლიანი პირობების განსაზღვრით, თავიდან იქნას აცილებული პედაგოგთა ინტერესებისა და უფლებების ხელყოფა სკოლების ადმინისტრაციების მიერ.

1.2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის #959 ბრძანების მე-9 [1] მუხლის თანახმად „სკოლასა და მასწავლებელს შორის ვადიანი შრომითი ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში, რეკომენდებულია გრძელვადიანი - მინიმუმ 3-5 წლის ვადით შრომითი ხელშეკლრულების გაფორმება.“

#959 ბრძანების მე-9 [1] მუხლის არსებული შინაარსი <u>მიზანშეწონილია შეიცვალოს შემდეგი ჩანაწერით:</u> **სკოლასა და მასწავლებელს შორის ვადიანი შრომითი ხელშკრულების გაფორმების შემთხვევაში, სკოლა ვალდებულია პედაგოგთან გააფორმოს უვადო ან გრძელვადიანი შრომითი ხელშეკრულება - მინიმუმ 3-5 წლის ვადით.**

დასაბუთება: ბოლო რამოდენიმე წელია მავნე ტენდენციად იქცა საჯარო სკოლების დირექტორთა მიერ მასწავლებლებთან მოკლევადიანი შრომითი კონტრაქტების (სამთვიანი, ექვსთვიანი და ერთწლიანი) გაფორმება.

საჯარო სკოლების პედაგოგებთან მოკლევადიანი (სამთვიანი, ექვსთვიანი, ერთწლიანი) შრომითი კონტრაქტების გაფორმების ბოლოდროინდელი ტენდენცია ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის #959 ბრძანების მოთხოვნებს.

მიუხედავად იმისა, რომ #959 ბრძანება ითვალისწინებს მასწავლებლებთან გრძელვადიანი შრომითი ხელშეკრულებების გაფორმებას, მიზანშეუწონლად მიგვაჩნია ბრძანების მე-9[1] მუხლში ეწეროს სიტყვა - რეკომენდებულია. ბრძანება არის შესასრულებლად სავალდებულო აქტი და მის მუხლებს არ უნდა ჰქონდეს სარეკომენდაციო ხასიათი. ამასთანავე, შეთავაზებული ცვლილება მოხსნის მე-9[1] მუხლის ორაზროვნად წაკითხვის შესაძლებლობას დაინტერესებული პირების მიერ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ასევე, პედაგოგთა სტრესული სამუშაოს გათვალისწინებითა და უფრო მეტი დაცულობის თვალსაზრისით, მიზანშეწონილია #959 ბრძანებით საჯარო

სკოლების დირექტორთა ცალსახა დავალდებულება გააფორმონ მასწავლებლებთან უვადო ან გრძელვადიანი შრომითი კონტრაქტები. პედაგოგი ორიენტირებული უნდა იყოს სწავლების ხარისხზე და არა იმაზე, გაუგრძელებს თუ არა დირექტორი ხელშეკრულების ვადას 6 თვეში ერთხელ ან წელიწადში ერთხელ. გრძელვადიანი შრომითი კონტრაქტების გაფორმება მოხსნის ხშირი დაძაბულობისა და სტრესის მომენტს მასწავლებელთა მხრიდან, შეუქმნის პედაგოგს სტაბილურობის შეგრძნებას, რათა სრულად მოახდინოს თავისი კომპეტენციისა და კვალიფიკაციის რეალიზება. ამასთანავე, შეასუსტებს სუბიექტური შეხედულებებიდან გამომდინარე, დირექტორების პედაგოგებზე ზეწოლას ხელშეკრულების ვადის არ გაგრძელების მუქარით.

1.3 #959 ბრძანებაში მიზანშეწონილია შეტანილ იქნას ცვლილება და აღდგეს მე-10 მუხლის მე-2; მე-5; მე-6; მე-7 და მე-8 პუნქტები, რომლებიც ითვალსწინებდნენ მასწავლებელთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტამდე, საკითხის განხილვას ობიექტური და სამართლიანი პროცედურის შესაბამისად.

დასაბუთება: 2010 წლის 4 ოქტომბრამდე #959 ბრძანების მე-10 მუხლი ითვალისწინებდა საჯარო სკოლის დირექტორის ვალდებულებას მასწავლებელთან შრომითი ხელშეკრულების მოშლამდე, საკითხის ირგვლივ გამოეკვლია ყველა გარემოება და მხოლოდ ამავე ბრძანებით გაწერილი პროცედურის დაცვით მიეღო გადაწყვეტილება შრომითი ხელშეკრულების მოშლის თაობაზე. სკოლის დირექტორი მასწავლებელთან შრომითი ხელშეკრულების მოშლამდე ვალდებული იყო განეხორციელებინა შემდეგი ქმედებები: მასწავლებელისათვის უნდა გაეცნო წერილობითი მოტივირებული პრეტენზია, სადაც მითითებული უნდა ყოფილიყო მასწავლებლის მუშაობაში არსებული ხარვეზი და სკოლის დირექტორის პრეტენზია, მასწავლებელს უნდა მისცემოდა შესაძლებლობა გამოეთქვა თავისი წერილობითი მოსაზრება/დასაბუთება სკოლის დირექტორის მიერ წარდგენილ პრეტენზიასთან დაკავშირებით, შეხვედროდა და გასაუბრებოდა მასწავლებელს მის მიმართ არსებულ პრეტენზიასთან დაკავშირებით. შეხვედრაზე უნდა დაგეგმილიყო მასწავლებლის მიმართ არსებული პრეტენზიისა და ხარვეზის გამოსწორების გზები და განსაზღვრულიყო დამატებითი გონივრული ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად. შეხვედრის თაობაზე უნდა შემდგარიყო შეხვედრის ოქმი, რომელსაც ხელს მოაწერდა ოქმის შემდგენი, სკოლის დირექტორი და მასწავლებელი. მასწავლებელთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა გამოყენებულ უნდა ყოფილიყო როგორც უკიდურესი ღონისძიება და არა დადგენილი პრაქტიკა.

,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ჭ“ ქვეპუნქტის თანახმად, სქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ,,პროფესიული კავშირების მონაწილეობით ადგენს საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალურ ოდენობასა და პირობებს, ამტკიცებს სკოლების მიერ მასწავლებელთან დადებული შრომითი ხელშეკრულებების სავალდებულო პირობებს“.

პედაგოგოგთან შრომითი ხელშეკრულების მოშლამდე, დირექტორის მიერ სამართლიანი პროცედურის გამოყენება და საკითხის ირგვლივ ყველა გარემოების გამოკვლევა წარმოადგენდა #959 ბრძანებით გათვალისწინებული შრომითი ხელშეკრულების პირობას.

2010 წლს 4 ოქტომბერს (ბრძანება #101/ნ), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის" 26-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ჭ" ქვეპუნქტის იგნორირებით, პედაგოგთა პროფკავშირთან შეუთანხმებლად, ერთპიროვნულად გააუქმა #959 ბრძანების მე-10 მუხლის მე-2; მე-5; მე-6; მე-7 და მე-8 პუნქტები.

ბრძანებაში შეტანილი უკანონო ცვლილების შედეგად, კიდევ უფრო გახშირდა სკოლის დირექტორების მიერ პედაგოგთა თვითნებური და დაუსაბუთებელი გათავისუფლებები. pedagogTa absu l i t u r i umravlesoba sko l ebidan gaaTavisuf l es Sromis kodeqsis kaba l u r i,M37 mux l is d) qvepunqt i s sa f uZve l ze. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მასწავლებელთა უფრო მეტი დაცულობის თვალსაზრისით, მიზნშეწონილია აღდგეს #959 ბრძანების გაუქმებული პუნქტები.

1.4 #959 ბრძანების მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად „მასწავლებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სკოლის დირექტორის გადაწყვეტილებით შეიძლება მიეცეს ანაზღაურებადი შვებულება წელიწადში 24 სამუშაო დღეზე მეტი ვადით, რაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს შრომით ხელშეკრულებაში."

Cveni rekomendaciiT, #959 ბრძანების მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის არსებული შინაარსი მიზანშეწონილია შეიცვალოს შემდეგი ჩანაწერით: ,,**მასწავლებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, უნდა მიეცეს ანაზღაურებადი შვებულება წელიწადში 40-48 სამუშაო დღე, რაც გათვალისწინებული უნდა იქნეს შრომით ხელშეკრულებასა და სკოლის შინაგანაწესში".**

დასაბუთება:

პედაგოგთა სამუშაოს სპეციფიკის იგნორირებით, ზოგიერთი საჯარო სკოლის დირექტორი მასწავლებლებს აძლევდა უფლებას ესარგებლათ ანაზღაურებადი შვებულებით მხოლოდ 24 სამუშაო დღით. სასკოლო არდადეგების დარჩენილ პერიოდში, სწავლის დაწყებამდე, d i r e q t o r i სთხოვდა პედაგოგებს ესარგებლათ ანაზღაურების გარეშე შვებულებით. საქართველოს შრომის კოდექსის თანახმად, ანაზღაურების გარეშე შვებულებაში გასვლის სურვილი კი უნდა მომდინარეობდეს დასაქმებულიდან და არა დამსაქმებლიდან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ასევე, მთელი წლის მანძილზე პედაგოგთა დაძაბული სამუშაოსა და სკოლაში სასწავლო პროცესის სპეციფიკის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია მასწავლებლებს მიეცეთ ანაზღაურებადი შვებულება წელიწადში 24 სამუშაო

დღეზე მეტი ვადით. შვებულების დღეთა კონკრეტულ რაოდენობაზე შეთანხმება უნდა მოხდეს შრომითი ხელშეკრულებითა და სკოლის შინაგანაწესით.

1.5 #959 ბრძანების მე-6 მუხლს მიზანშეწონილია დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-11 პუნქტი: **საჯარო სკოლის პედაგოგს უფლება აქვს არასაგაკვეთილო საათებში ფიზიკურად არ იმყოფებოდეს სკოლაში, თუ იგი აღწევს ეროვნული და სასკოლო სასწავლო გეგმებით დასახულ მიზნებს სწავლებისას.**

დასაბუთება: ბოლო პერიოდში შეინიშნება მავნე ტენდენცია დირექტორების მხრიდან, კერძოდ, ისინი აიძულებენ მასწავლებლებს არასაგაკვეთილო საათებში, დილიდან საღამომდე სკოლაში ფიზიკურად ყოფნას, რითაც არღვევენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინიტრის #576 ბრძანების მოთხოვნებს. სპმთპ-ს აკითხავენ მასწავლებლები და უკმაყოფილებას გამოთქვამენ აღნიშნულთან დაკავშირებით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის #576 ბრძანების ინსტრუქციის თანახმად ,,მიუხედავად იმისა, რომ ხელფასი მასწავლებელს ეძლევა არა მხოლოდ საგაკვეთილო საათების ჩატარებისთვის (სრული დატვირთვის მასწავლებელს 36 საათიანი სამუშაო კვირისთვის), ეს არ ნიშნავს, რომ მასწავლებელი სამუშაო საათებში (საგაკვეთილო საათების გარდა) აუცილებლად იმყოფებოდეს სკოლაში. მასწავლებელს უფლება აქვს საერთო სამუშაო (პედაგოგის განათლების დონის ამაღლება, მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობა, სასწავლო მასალის მომზადება და სხვა) შეასრულოს სახლში. თუ სკოლის ადმინისტრაცია თვლის, რომ მასწავლებელი ვერ აღწევს სასურველ შედეგებს სწავლებისას, დირექცია უფლებამოსილია მასწავლებელს მოსთხოვოს არასაგაკვეთილო საათების პერიოდში სკოლაში მუშაობა სწავლების შედეგების გაუმჯობესებამდე.“

მიუხედავად აღნიშნული საკითხის #576 ბრძანებით მეტ-ნაკლები მოწესრიგებისა, მიზენშეწონილია #959 ბრძანებამ ცალსახად განსაზღვროს მასწავლებლის უფლება არასაგაკვეთილო საათებში არ იმყოფებოდეს სკოლაში, თუ იგი აღწევს სასურველ შედეგებს სწავლებისას. პედაგოგთა პროფკავშირს მიაჩნია, რომ თუკი მასწავლებელს არ აქვს ჩამორჩენა სწავლებისას და აღწევს ეროვნული და სასკოლო სასწავლო გეგმებით დასახულ მიზნებს, იგი არ უნდა იყოს ვალდებული სკოლაში იმყოფებოდეს არასაგაკვეთილო საათების დროს. მასწავლებელს შეუძლია საერთო სამუშაო (პედაგოგის განათლების დონის ამაღლება, მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობა, სასწავლო მასალის მომზადება და სხვა) შეასრულოს სკოლის გარეთ.

1.6 #959 ბრძანების მე-10 მუხლს უნდა დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი: **პედაგოგთან შრომითი ურთიერთობის მოშლა შესაძლებელია პედაგოგთა პროფკავშირთან შეთანხმებით, საკითხის პედაგოგიურ საბჭოსა და სამეურვეო საბჭოზე განხილვის შემდეგ.**

დასაბუთება: დღეს მოქმედი შრომის კოდექსით, საჯარო სკოლის დირექტორს უფლება აქვს მოშალოს პედაგოგთან შრომითი ურთიერთობა დაუსაბუთებლად, ყოველგვარი ახსნა-

განმარტების გარეშე (საქართველოს შრომის კოდექსისი 37-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ“ ქვეპუნქტი - შრომითი ხელშეკრულების მოშლა), რითაც უხეშად ილახება მასწავლებელთა შრომითი უფლებები. ბოლო წლების განმავლობაში, უამრავი პედაგოგი გათავისუფლდა სამსახურიდან საჯარო სკოლების დირექტორთა მიერ საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ“ ქვეპუნქტის აქტიური გამოყენებით.

სპმთპ-ის აზრით, #959 ბრძანებაში შეთავაზებული ცვლილება ხელს შეუწყობს როგორც სკოლის კოლეგიური ორგანოების (პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო) როლის გაძლიერებას, ისე პროფესიული კავშირის მნიშვნელობის გაზრდას მასწავლებელთა უფლებების დაცვის საქმეში. ამ ყველაფრის შედეგი კი იქნება დირექტორთა ერთპიროვნული გადაწყვეტილებებისაგან უფრო მეტად დაცული პედაგოგი.

1.7. #959 ბრძანების მე-10 მუხლს მიზნშეწონილია დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი: **საჯარო სკოლის დირექტორს არ აქვს უფლება პედაგოგთან შეწყვიტოს შრომითი ურთიერთობა მასწავლებლის მცირე საათობრივი დატვირთვის გამო.**

დასაბუთება: ბოლო პერიოდში, სპმთპ-ს აკითხავენ პედაგოგები, რომლებიც გათავისუფლდნენ სამსახურიდან სკოლაში მცირე სააათობრივი დატვირთვის გამო.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის #576 ბრძანების ინსტრუქცია ითვალისწინებს მასწავლებლის სამი ტიპის დატვირთვას: ნაწილობრივს (18-ზე ნაკლები საგაკვეთილო საათი კვირაში), სრულს (18 საგაკვეთილო საათი კვირაში) და სრულზე მეტს (19 ან მეტი საგაკვეთილო საათი კვირაში).

ვინაიდან, მასწავლებელთა ნაწილობრივი სამუშაო დატვირთვა (18-ზე ნაკლები საგაკვეთილო საათი კვირაში) თავად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის #576 ბრძანების ინსტრუქციით არის გათვალისწინებული, მცირე საათობრივი დატვირთვის ნიშნით პედაგოგის სამსახურიდან გათავისუფლება ეწინააღმდეგება მინისტრის #576 ბრძანებას.

ამასთანავე, მცირე საათობრივი დატვირთვის ნიშნით მასწავლებლის სამსახურიდან გათავისუფლება წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციითა და შრომის კოდექსით აკრძალულ დისკრიმინაციას, ვინაიდან სკოლის დირექტორი, როგორც დამსაქმებელი, უთანასწოროდ, თვითნებურად ანსხვავებს მცირე საათობრივი დატვირთვის მქონე პედაგოგებს სხვა მასწავლებლებისგან, წყვეტს მათთან შრომით ურთიერთობას მცირე საათობრივი დატვირთვის გამო, რითაც ამ კატეგორიის მასწავლებელთა მიმართ ხდება ისეთი პირობების შექმნა, რომელიც პირდაპირ აუარესებს მათ მდგომარეობას სხვა პედაგოგებთან შედარებით.

სპმთპ-ის მიერ შეთავაზებული ცვლილება კი ხელს შეუწყობს დირექტორების მიერ პედაგოგთა მიმართ თანასწორ და სამართლიან მოპყრობას.

1.8 #959 ბრძანების მე-10 მუხლს მიზანშეწონილია დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 პუნქტი: **საჯარო სკოლის დირექტორს არ აქვს უფლება პედაგოგთან შეწყვიტოს შრომითი ურთიერთობა მასწავლებლის საპენსიო ასაკის გამო.**

დასაბუთება: ბოლო პერიოდში სამსახურებიდან გათავისუფლდნენ მასწავლებლები საპენსიო ასაკის გამო. საპენსიო ასაკის ნიშნით მასწავლებლის სამსახურიდან გათავისუფლება

წარმოადგენს შრომის კოდექსით აკრძალულ დისკრიმინაციას ასაკობრივი ნიშნით, ვინაიდან სკოლის დირექტორი როგორც დამსაქმებელი, უთანასწოროდ, თვითნებურად ანსხვავებს საპენსიო ასაკის პედაგოგებს არასაპენსიო ასაკის პედაგოგებისაგან, წყვეტს მათთან შრომით ურთიერთობას ასაკობრივი ნიშნის გამო, რითაც საპენსიო ასაკის მასწავლებლის მიმართ ხდება ისეთი პირობების შექმნა, რომელიც პირდაპირ აუარესებს მის მდგომარეობას არასაპენსიო ასაკის პედაგოგებთან შედარებით.

მიუხედავად იმისა, რომ შრომის კოდექსით აკრძალულია დასაქმებულის ასაკობრივი ნიშნით დისკრიმინაცია, #959 ბრძანებაში სპმთპ-ის მიერ შეთავაზებული ცვლილება უფრო მეტ პრევენციას მოახდენდა დირექტორების მიერ პედაგოგთა თვითნებური გათავისუფლებებისა. ამასთანავე, უზრუნველყოფს დირექტორების მიერ პედაგოგთა მიმართ თანასწორ და სამართლიან მოპყრობას.

2. <u>საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის #576 ბრძანების ი ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების შესახებ (21.10.2005)</u>

2.1 ინსტრუქციის მე-5 მუხლის მე-4 ნაწილის შინაარსი უნდა შეიცვალოს შემდეგი ჩანაწერით: **სრულზე მეტი დატვირთავა აქვს მასწავლებელს, რომელიც სკოლაში მუშაობს 40 სამუშაო საათს და მათ შორის ატარებს კვირაში 19 ან მეტ საგაკვეთილო საათს. 19 და მეტი საგაკვეთილო საათის ჩატარებისას პედაგოგს უნდა მიეცეს ხელფასი ჩატარებული საათების შესაბამისად, სამართლიანი გაანგარიშებით.**

დასაბუთება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის #576 ბრძანების ინსტრუქციაში ამა წლის 19 სექტემბერს შეტანილი ცვლილების თანახმად, სრულზე მეტი დატვირთვა აქვს მასწავლებელს, რომელიც სკოლაში მუშაობს 40 სამუშაო საათს და მათ შორის ატარებს კვირაში 19 ან მეტ საგაკვეთილო საათს. 19 საგაკვეთილო საათის ჩატარებისას მასწავლებელს ეძლევა სრული განაკვეთის ხელფასზე დანამატი 5 ლარის ოდენობით, 20 საგაკვეთილო საათის ჩატარებისას მასწავლებელს ეძლევა სრული განაკვეთის ხელფასზე დანამატი 10 ლარის ოდენობით, 20-ზე მეტი ნებისმიერი საგაკვეთილო საათის ჩატარებისას კი მასწავლებელს ეძლევა სრული განაკვეთის ხელფასზე დანამატი 25 ლარის ოდენობით.

სპმთპ-ს მიაჩნია, რომ სრული განაკვეთის ხელფასზე სიმბოლური დანამატების განხორციელება ვერ უზრუნველყოფს შრომის სამართლიანი ანაზღაურების კონსტიტუციურ პრინციპს. სრულზე მეტი საათობრივი დატვირთვის მქონე პედაგოგთა შრომის ანაზღაურება უნდა მოხდეს საათობრივი დატვირთვის შესაბამისად, სამართლიანი გაანგარიშებით.

2.2 #576 ბრძანების ინსტრუქციის მე-5' მუხლის პირველი ნაწილის შინაარსი უნდა შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: **პედაგოგი, რომელიც ჩააბარებს სასერტიფიკაციო გამოცდას მიეცემა პედაგოგთა ხელფასზე დანამატი ყოველთვიურად 75 ლარის ოდენობით, საათობრივი დატვირთვის შესაბამისად სამართლიანი გაანგარიშებით.**

დასაბუთება: **არსებული ნორმაა: #576 ბრძანების ინსტრუქციის მე-5' მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ,,პედაგოგს, რომელიც წარმატებით ჩააბარებს მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდას, სრული ან სრულზე მეტი დატვირთვის შემთხვევაში მიეცემა პედაგოგთა ხელფასზე დანამატი ყოველთვიურად 75 ლარის ოდენობით.“**

სპმთპ-ს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ უნდა გაუქმდეს სასერტიფიკაციო დანამატის მიღების წინაპირობა - სრული ან სრულზე მეტი დატვირთვა, ვინაიდან ამ ტიპის ვალდებულებამ გამოიწვია საათების ნაკლებობა სკოლებში. დანამატი პედაგოგს უნდა მიეცეს სერტიფიცირებულობიდან გამომდინარე, ნებისმიერი დატვირთვის შემთხვევაში სამართლიანი გაანგარიშებით.

3. **<u>,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის #448 ბრძანება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ (15.09.2005)</u>**

3.1 ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონმა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის #448 ბრძანებამ ახლებურად უნდა განსაზღვროს სკოლის სამეურვეო საბჭოს შემადგენლობა. მისი შემადგენლობიდან ამორიცხულ უნდა იქნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წარმომადგენლები. მასწავლებელთა ინტერესების სათანადოდ წარმოდგენის საჭიროების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში სათათბირო ხმის უფლებით წევრად შეყვანილ იქნას პედაგოგთა პროფკავშირის ერთი წარმომადგენელი. ამასთანავე, სკოლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარეობის უფლება არ უნდა ჰქონდეს ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენელს.

დასაბუთება: ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტონომია მოიცავს სკოლის დამოუკიდებლობასა და თვითმმართველობას, რომლის ერთ-ერთი სუბიექტი არის სამეურვეო საბჭო. სკოლების ავტონომიურობა გულისხმობს სამეურვეო საბჭოების დაკომპლექტებას სკოლის შიდა სტრუქტურების წარმომადგენლებისაგან, სკოლის სამეურვეო საბჭოებში სახელმწიფოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების წევრად შეყვანით ირღვევა სკოლის დამოუკიდებლობისა და ავტონომიურობის პრინციპი, ძლიერდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ სკოლის ცენტრალიზებული მართვის ბერკეტები. ამიტომ, სპმთპ თვლის, რომ სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში არ უნდა იყვნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წარმომადგენლები. ამასთანავე, საბჭოს თავმჯდომარეობის უფლება არ უნდა ჰქონდეს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელს. სპმთპ თვლის, რომ სკოლის სამეურვეო საბჭოში პედაგოგთა პროფესიული კავშირის წარმომადგენლის წევრად შეყვანით, უფრო მეტად

იქნება წარმოდგენილი და დაცული მასწავლებელთა საუკეთესო ინტერესები, ამასთანავე გაძლიერდება პროფესიული კავშირების როლი მასწავლებელთა უფლებების დაცვის საქმეში.

3.2 „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონთა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის #448 ბრძანებით მიზანშეწონილია გაიზარდოს პედაგოგიური საბჭოს ფუნქციები. სკოლის პედაგოგიურ საბჭოს მიზანშეწონილია დაემატოს შემდეგი ფუნქციები:

ა) პედაგოგიური საბჭო იხილავს მასწავლებელთა სამსახურიდან გათავისუფლების საკითხის დასმის მიზანშეწონილობას დირექციის მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე;

ბ) პედაგოგიური საბჭო დისციპლინურ კომიტეტთან ერთად იხილავს მასწავლებლის მიმართ დისციპლინური ღონისძიებების გამოყენების საკითხს და იღებს შესაბამის დასკვნას, რომლის საფუძველზეც დირექტორი იღებს ადეკვატურ გადაწყვეტილებას;

გ) პედაგოგიური საბჭო დისციპლინურ კომიტეტთან ერთად ზედამხედველობას უწევს დირექციის მიერ სამართლიანი პროცედურის გამოყენებას პედაგოგთან შრომითი ურთიერთობის მოშლამდე.

დ) დირექციის წარდგინებით წინასწარ ამტკიცებს სკოლის შინაგანაწესს, სამეურვეო საბჭოზე საბოლოო დასამტკიცებლად წარდგენამდე.

დასაბუთება: დღეს მოქმედი კანონმდებლობით, პედსაბჭოს აქვს სიმბოლური ფუნქციები. იგი რეალურად ვერ გამოხატავს და ვერ იცავს მასწავლებელთა ინტერესებს დირექტორთა გადაწყვეტილებებისაგან. დღეს მოქმედი კანონმდებლობით, პედსაბჭოს აქვს შემდეგი ფუნქციები: ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, დირექტორის მონაწილეობით შეიმუშავებს და სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით ამტკიცებს სასკოლო სასწავლო გეგმებს, საჭიროების შემთხვევაში, დირექტორთან შეთანხმებით ამტკიცებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით, საფეხურებისა და საგნების შესაბამისად, ამტკიცებს სასწავლო მასალას, მათ შორის, ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრის მიერ გრიფმინიჭებული, პედაგოგების მიერ შერჩეული, სასწავლო წლის განმავლობაში გამოსაყენებელი სახელმძღვანელოების ნუსხას.

პედაგოგიური საბჭო მისი სიმბოლური ფუნქციებიდან გამომდინარე, ვერ იცავს მასწავლებელს უკანონო გათავისუფლებისაგან. სპმთპ თვლის, რომ პედსაბჭოს უფლება უნდა მიეცეს აქტიური ზედამხედველობა გაუწიოს სკოლების დირექციათა მიერ მასწავლებლების მიმართ დისციპლინური ღონისძიებების გამოყენების საკითხს, პედაგოგთა ინტერესების დაცვას დირექტორთა ერთპიროვნული გადაწყვეტილებებისგან. სპმთპ თვლის, რომ შეთავაზებული ცვლილება ხელს შეუწყობს პედაგოგიური საბჭოების როლის ამაღლებასა და მათი ქმედითობის გაზრდას.